გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 170

2025 წლის 14 ნოემბერი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის (ს/კ 418481011) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის (ს/კ 418481011) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის (ს/კ 418481011) 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 4 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **მარლენ ნადირაძე**

გორის მუნიციპალური ინსპექციის 2026 წელს გაწეული

საქმიანობის ანგარიში

ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ნარჩენების მართვის კოდექსითა და საარჩევნო კოდექსით დადგენილ სამართალდარღვევებზე რეაგირება, შესაბამისი გაფრთხილების მიცემა ან საჯარიმო ოქმების შედგენა. სამართალდარღვევათა კონკრეტული მუხლები განსაზღვრულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №30, 2023 წლის 18 აპრილის №22 და 2025 წლის 13 მაისის №11 დადგენილებებით.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექცია მოიცავს 5 განყოფილებას:

1. ადმინისტრაციული განყოფილება
2. ინსპექციის განყოფილება
3. პარკირების განყოფილება
4. უსაფრთხოების განყოფილება
5. მგზავრთა მონიტორინგის განყოფილება

თითოეული განყოფილება უზრუნველყოფს მის კომპეტენციაში არსებული საქმიანობის კოორდინაციას.

ინსპექციის განყოფილება

ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის, ინსპექციის განყოფილების მიერ გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე შედგა 194 სამართალდარღვევათა ოქმი აქედან:

- სამართალდარღვევათა კოდექსის 152^{7} მუხლის პირველი ნაწილი - **147** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 135 მუხლის მეორე ნაწილი - **26** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 155 მუხლის მეორე ნაწილი - **1** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 119^{1} მუხლის პირველი ნაწილი - **10** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 191^{1} პირველი ნაწილი - **3** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 35 მუხლის პირველი ნაწილი - **1** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 103 მუხლის მეორე ნაწილი - **3** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 33 მუხლის პირველი ნაწილი - **1** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 146^{1} მუხლი - **1** ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 52^{2} პირველი ნაწილი - **1** ჯარიმა

მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებში მოხდა გურამიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩების გარე ვაჭრობისაგან გათავისუფლება მუნიციპალური ინსპექცია პრევენციის მიზნით კვლავ აქტიურად ახორციელებს მიმდებარე ტერიტორიის მონიტორინგს.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის, ინსპექციის განყოფილების მიერ მოხდა უნებართვოდ დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოთავისუფლება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პარკირების განყოფილება

ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის, პარკირების განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში შედგა 29 555 საჯარიმო ოქმი აქედან:

- სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] მუხლის პირველი ნაწილით 21 896 ჯარიმა
- სამართალდარღვევათა კოდექსის 125[4] მუხლის მეორე ნაწილით 7 659 ჯარიმა

გასული წლის ნოემბრიდან პარკირების განყოფილება გადავიდა ახალ სამუშაო პროგრამაზე რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა, როგორც გამოწერილი საჯარიმო ქვითრების გადახის მაჩვენებელი, ასევე შემენილი პარკირების ნებართვების რაოდენობა.

- გადახდილი ჯარიმების რაოდენობა - 26217
- გადაუხდელი ჯარიმების რაოდენობა - 3338

მგზავრთა მონიტორინგის განყოფილება

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის 13 მაისის №11 დადგენილებით ა(ა)იპ გორის მუნიციპალურ ინსპექციას დაემატა მგზავრთა მონიტორინგის განყოფილება, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს ადგილობრივი, საქალაქო, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით მგზავრთა მონიტორინგს.

აღნიშნული განყოფილების მიერ საქმიანობის განხორციელების დაწყებიდან დღემდე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130 მუხლის მეოთხე ნაწილის ა ქვეპუნქტის მიხედვით შედგენილ იქნა 423 საჯარიმო ოქმი.

უსაფრთხოების განყოფილება

აღნიშნული განყოფილება 10 ინსპექტორით ოთხ დღეში ერთხელ სამუშაო ცვლით 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს კულტურისა და დასვენების პარკ ახალბაღის ტერიტორიაზე წესრიგსა და უსაფრთხოებას.

ადმინისტრაციული განყოფილება

ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის, ადმინისტრაციული განყოფილება ხელმძღვანელობს ინსპექციაში არსებულ ცხელ ხაზს, შესყიდვებსა და ფინანსებს, ადამიანურ რესურსებს, კანცელარიას, მატერიალ ტექნიკური საშუალებების აღრიცხვა განკარგვას.

- **ადამიანური რესურსების მენეჯერი**-ს მიერ მომზადებული იქნა 305 ბრძანება

- **შესყიდვების სპეციალისტი**-ს მიერ საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 47 გამარტივებული ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 148703 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 16 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 126295 ლარი, გამოცხადდა 6 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე 141700 ლარის ღირებულებით.
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის ადმინისტრაციულ სამსახურში დასაქმებულია ერთი **ფინანსური მენეჯერი** და ერთი **ბუღალტერი**, მათი უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია ადმინისტრაციული განყოფილების დებულებით და ინსპექციის შინაგანაწესით.

  გორის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის ბიუჯეტი იანვრის თვეში შეადგენდა 915 000 ლარს, რომელიც წლის განმავლობაში დაკორექტირდა და საბოლოოდ 941 000 ლარი შეადგინა. რასაც ემატება საკუთარი შემოსულობები 72 000 ლარი.

  გორის მუნიციპალურ ინსპექციაში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 41 ადამიანს, აქედან 13 შტატით მომუშავე, ხოლო 28 შტატგარეშე თანამშრომელი. 2024 წლის ოქტომბრის თვიდან, დეკემბრის თვის ჩათვლით გახარჯულია 297 042 ლარი, აქედან:

  1. შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება - 56 773 ლარი
  2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 117 405 ლარი
  3. პრემია/დანამატი შტატიან და შტატგარეშე თანამშრომლებისთვის - 46 889 ლარი
  4. ოფისის ხარჯი - 9 281 ლარი
  5. საწვავ/საპოხი მასალების შეძენისხარჯი - 10 872 ლარი
  6. ექსპლუატაციის, მოვლა - შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 4 537 ლარი
  7. სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტინები) – 1 956 ლარი
  8. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 41 399 ლარი
  9. არაფინანსური აქტივების ზრდა - 7 750 ლარი
  10. მივლინებები - 180 ლარი

  2024 წლის პირველი ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 30 197 ლარი.

  ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის ბიუჯეტი იანვრის თვეში შეადგენდა 1 200 000 ლარს, რომელიც წლის განმავლობაში დაკორექტირდა და საბოლოოდ 1 588 000 ლარი შეადგინა. რასაც ემატება საკუთარი შემოსულობები 146 000 ლარი.

  გორის მუნიციპალურ ინსპექციაში მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენს 89 ადამიანს, აქედან 14 შტატით მომუშავე, ხოლო დანარჩენი 75 არის შტატგარეშე თანამშრომელი.

  2025 წლის 01 იანვრიდან 27 ოქტომბრამდე გახარჯულია სულ 1 377 959 ლარი, აქედან:

  1. შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება - 262 592 ლარი
  2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 821 533 ლარი

3. ოფისის ხარჯი - 80 995 ლარი
4. საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 31 115 ლარი
5. ექსპლუატაციის, მოვლა - შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 31 820
6. სოციალური უზრუნველყოფა (ბიულეტინები) – 5 152 ლარი
7. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 109 116 ლარი
8. არაფინანსური აქტივების ზრდა - 32 719 ლარი
9. მოსაკრებლები და გადასახადები - 2047 ლარი
10. მივლინების ხარჯები - 870 ლარი

2025 წლის 01 იანვრიდან 27 ოქტომბრამდე საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 187 053 ლარი.

2025 წლის 01 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 50 740 ლარს.

- **ცხელ ხაზი**-ს არსებული მონაცემებით დაფიქსირებულია 2673 ზარი რომელზეც განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.
- **კანცელარია**-ში საანგარიშო პერიოდში შემოსულმა და გასულმა კორესპონდენციამ შეადგინა 984 დოკუმენტი.

იურისტი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალური ინსპექციის იურისტის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- მომზადდა 137 კორესპონდენციის წერილობითი პასუხი
- მომზადდა 65 ადმინისტრაციულ საჩივარზე შესაბამისი პასუხი და მოკვლეულ იქნა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.
- შედგა 8 სასამართლო პროცესი, აქედან 4 პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ხოლო დასრულებული პროცესებიდან მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულდა 1 პროცესი.
- მომზადდა 24 ბრძანების პროექტი სააღსრულებლო წარმოებასთან დაკავშირებით.
- მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების შექმნის მიზნით მომზადდა სამსახურის სამუშაო აღწერილობის ახალი რედაქცია.
- მგზავრთა მონიტორინგის განყოფილების ნორმალური ფუნქციონირების მიზნით ერთობლივად შემუშავებული იქნა კონტრაქტების პროექტები, რომელიც გაფორმდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან და სს თი ბი სი ბანკთან
- სისტემატიურად ხორციელდება სხვადასხვა სახის კონსულტაციები თანამშრომელთათვის.